მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება გერმანული ენის გაკვეთილებზე

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო
სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი
ნანა ბოჭორიშვილი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი 3

თავი I

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ, სამიზნე ჯგუფი.....4

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა 5

1.3 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება 5

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა 6

თავი III

3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება 17

3.2 კვლევის მიზანი და ამოცანები 17

თავი IV

მეთოდოლოგია

4.1 კვლევის მეთოდების განხილვა 18

4.2 ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა 19

4.3 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი 19

თავი V

5.1 მიგნებები, რეკომენდაციები 25

5.2 კვლევის ნაკლოვანებები 26

დასკვნა.....26

ბიბლიოგრაფია 27

ცხრილებისა და გრაფიკების ჩამონათვალი 28

შესავალი

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე საბაზო-საშუალო საფეხურზე დღესდღეობით თითქმის ყველა საჯარო სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

საბაზო საფეხურის მოსწავლეებს ასაკობრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ერთად უჩნდებათ აზრი, რომ საკმარისია ერთი უცხო ენის ცოდნა და ის ერთი აუცილებლად უნდა იყოს ინგლისური ენა. აღნიშნულ მოსაზრებას ხშირ შემთხვევაში მშობლები და საზოგადოებაც იზიარებს და საზოგადოებრივ აზრს მინდობილი მოზარდები თანდათან უფრო ნაკლებად და ზერელედ ერთვებიან მეორე უცხო ენის, ჩვენს შემთხვევაში - გერმანული ენის შესწავლის პროცესში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა, მაქსიმუმი გააკეთოს მოსწავლეთა დაინტერესებისა და გააქტიურებისათვის.

ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის IX კლასში, 2018-19 სასწავლო წელს ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თემაზე: **"მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება, გერმანული ენის გაკვეთილებზე".**

ჩემი ამოცანა გახლდათ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, შესაბამისად, მათი ჩართულობის ხარისხის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და შედეგად უკეთესი საერთო აკადემიური მოსწრების მიღწევა.

კვლევაში მონაწილეობდა მე-9 კლასის 5 მოსწავლე. მოსწავლეებს შორის იყო ორი ვაჟი და სამი გოგონა. მათ შორის არ იყო სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე.

მუშაობის პროცესში, საკვლევ კითხვებზე პასუხების გასაცემად, **გამოვიყენე** როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის **მეთოდები**.

თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენე: "ჩართული" დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი.

რაოდენობრივი კველვის მეთოდებიდან გამოვიყენე: სადიაგნოსტიკო კითხვარების შევსება და ანკეტირება (ღია და დახურული სახის ანონიმური კითხვარების ანკეტები).

დავგეგმე **ინტერვენციები:** კითხვარების შევსება ექვსი თვის განმავლობაში, საგაკვეთილო პროცესში ინტერაქტიური მეთოდების სისტემატიური გამოყენება. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება და კოლეგებთან თანამშრომლობა.

კვლევის შედეგები: მონაცემთა ანალიზისა და განხორციელებული ინტერვენციების შეფასების საფუძველზე მივიღე შედეგი, გარკვეულწილად მოხდა მოსწავლეთა დაინტერესება, ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუმჯობესდა სწავლის შედეგები და გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებისთვის სისტემატიურად მიწოდებულმა დამატებითმა რესურსებმა სასწავლო პროცესის დროს, გამოიწვია მათი დაინტერესება.

დასკვნა: კვლევი პროცესში გაწეულმა მუშაობამ გამოიღო დადებითი შედეგი. გამოიკვეთა კონკრეტული მეთოდები და აქტივობები, რომლელთა გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესს უფრო ხალისიანს და აქტიურს ხდის. მოსწავლეთა ნაწილს დაუბრუნდა საკუთარი თავის რწმენა, მოემატათ სითამამე და დაიწყეს საშინაო დავალებების შესრულება. მსგავსი კომუნიკაციის გაგრძელების შემთხვევაში შედეგი თანდათან უფრო პოზიტური გვექნება. ვფიქრობ, კვლევის ფარგლებში მიღებული გამოცდილება მე და ჩემს კოლეგებს სამომავლოდ მუშაობის პროცესში გამოგვადგება.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან. I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სამიზნე ჯგუფი, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. II თავში განხილულია ლიტერატურა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი გაზრდის პრაქტიკის შესახებ. III თავში განხილულია საკვლევი კითხვები. IV თავში განხილულია კვლევის მეთოდები ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი. V თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადებს.

აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. ანგარიშს თან ერთვის დასკვნა, ბიბლიოგრაფია და ცხრილებისა და გრაფიკების ჩამონათვალი.

თავი I

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ, სამიზნე ჯგუფი.

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში სწავლობს 40 მოსწავლე და მუშაობს 16 პედაგოგი. მათგან 11 მასწავლებელი უფროსის სტატუსის მატარებელია, ერთი კი წამყვანის. სკოლაში არის სუფთა, უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემო. ადმინისტრაცია მაქსიმალურად ეხმარება პედაგოგებს სწავლებისთვის საჭირო რესურსების მიწოდებაში. გვაქვს პრობლემებიც: მაგ.: კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული კომპიუტერებით და ძალიან დაბალი სიჩქარის ინტერნეტით. გვაქვს მხოლოდ გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკას არა აქვს სამკითხველო ოთახი და ეზო საჭიროებს კეთილმოწყობას. ჩვენი აზრით კი მთავარი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით უცხო ენის გაკვეთილებზე იჩენს, თავს საკლასო ოთახებში ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონაა. მასწავლებლებს უწევთ კლასიდან კლასში სხვადასახვა აუდიო-ვიდეო აპარატურით გადაადგილება და საჭიროების შემთხვევაში მობილური ინტერნეტის გამოყენება, რომლის სიხშირეც ასევე არასახარბიელოა.

აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად შერჩეულ იქნა მე-9 კლასის 5 მოსწავლე. ამათგან ერთი მოსწავლე თანაბრად აქტიურია და მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, 3 მოსწავლე საშუალო აკადემიური მოწრებისაა, ხოლო ერთი ერთი მოსწავლე არ გამოხატავს გაკვეთილის პროცესში ჩართვის იოტისოდენა სურვილსაც კი. პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო გახდა კოლეგების პროცესში ჩართვაც.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს და გრძელდებოდა ექვსი თვე.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სხვა ასაკობრივ- ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ერთად უქრებათ სწავლისადმი მოტივაცია, თანდათან უფრო ნაკლებად და ზერელედ ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თემაზე: "მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება, გერმანული ენის გაკვეთილებზე", რომლის მიზანიც გახლდათ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, შესაბამისად მათი ჩართულობის ხარისხის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და შედეგად უკეთესი საერთო აკადემიური მოსწრების მიღწევა.

1.3 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

გარდატეხის ასაკის მოახლობისთანავე თანდათან იკლებს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ხარისხი საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა უმეტესობა პასიურია გაკვეთილზე, სხვადასხვა მიზეზის გამოგონებით აღარ ასრულებენ საშინაო დავალებებს. რთულდება მოსწავლეების გაკვეთილით დაინტერესება და მათი აქტიურად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. ისინი თანდათან შორდებიან საგანს და ზედაპირულად ეკიდებიან სასწავლო პროცესს. ყოველივე ეს აისახება მათ შემაჯამებელ დავალებებზე და საბოლოოდ, აკადემიურ მიღწევებზე.

მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს ემატება საზოგადოებრივი აზრიც ინგლისური ენის, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი უცხო ენის, ცოდნის აუცილებლობის შესახებ. სადღაც ქრება დაწყებით კლასებში შეძენილი სიყვარული გერმანული ენის მიმართ და მოვალების მოხდის მიზნით საქმის კეთებას ემსგავსება მოტივაცია დაქვეითებული მოსწავლის და მასწავლებლის ქმედებები.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

პედაგოგიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობა შესაძლებელია სხვადასხვა დოზით. ჩართულობის ხარისხი იქიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რის მიღწევაა დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში ან როგორია მოსწავლეთა მზაობა.

განვიხილოთ, რას ნიშნავს გაკვეთილის მართვაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შერი არსტეინის თანამონაწილეობის კიბის მაგალითზე:



თანამონაწილეობითი კიბე

შერი არსტეინმა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა აღწერა როგორც კიბის საფეხურები. არსტეინის კიბეს აქვს 8 საფეხური, რომელთაგან პირველია მანიპულაცია, ბოლო – კონტროლი. ექსპერტები ამ საფეხურებს 3 დონედ განიხილავენ:

ჩაურთველობის/ არმონაწილეობის დონე	**სიმბოლური ჩართულობის/მონაწილეობის დონე**	**სრული ჩართულობის/ მონაწილეობის დონე**
მანიპულირება და თერაპია	ინფორმირება, კონსულტაციები, მხარდაჭერა	პარტნიორობა, დელეგირება, კონტროლი

დავიწყოთ მცირედით. უმცირესი, რაც შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა გაკვეთილზე, არის მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რის გაკეთებაც არის დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში.

კონსულტაცია – მასწავლებელი, მოსწავლეთა თანამონაწილეობით, გამოყოფს საკითხებს, პრობლემებს, ამ ყველაფერს უკავშირებს მოსწავლეთა გამოცდილებას, საჭიროებებს, მოსწავლეებთან ერთად განიხილავს საკონსულტაციო საკითხებს, ახორციელებს კონსულტაციებს და იღებს უკუკავშირს.

ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გამოიწვიოს, ჩართოს და წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ ლეგიტიმურად გამოთქვან თავიანთი წინადადებები, განიხილონ მუშაობის წესები, რეგლამენტის საკითხები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხები, ალტერნატივები და ა.შ.

ერთობლივი ქმედება არის მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი, დაგეგმილი მოქმედება, დაგეგმილი აქტივობა, რომლის მიზანი შეთანხმებულია მოსწავლეებთან. ეს მიდგომა კოლაბორაციულ პრინციპებს ეფუძნება, აქტივობის დრო, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია, რაც თავისთავად უკვე პარტნიორობაა. ამ სქემის მხარდაჭერა ნიშნავს მოსწავლეების მხრივ დამოუკიდებელი ინიციატივების გამოვლენას და მასწავლებლის მხრივ მათ მხარდაჭერასა და წახალისებას.

მკვლევარების აზრით, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას-ჩართულობას უზრუნველყოფს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ესენია:

- წინარე ცოდნა;
- მოტივაცია;
- სწავლების მექანიზმები;
- მოსწავლეთა ორგანიზება;
- მოსწავლეთა შეფასება.

სწორედ ამ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული CLEAR მეთოდი.

CLEAR მეთოდის მიხედვით, მუშაობაში ეფექტურ და აქტიურ მონაწილეობას განსაზღვრავს 5 ფაქტორი (მეთოდის სახელწოდება სწორედ ამ ფაქტორთა აბრევიატურას წარმოადგენს: Can do, Like to, Enebled to, Asked to, Responded to):

1. Can do – მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი, ცოდნა, გამოცდილება,უნარები);
2. Like to – მონაწილეებს სურთ მონაწილეობა;
3. Enebled to – არსებობს მონაწილეობის მექანიზმები;
4. Asked to – ხდება მსმენელთა მობილიზება;
5. Responded to – არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს).

თუნდაც ერთი ამ ფაქტორთაგანის არარსებობისას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობა და ჩართულობა სრულყოფილი ვერ იქნება, აღნიშნავენ მკვლევარები. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის მართვისას აკონტროლოს აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფა გაკვეთილზე მოსწავლეთა წასახალისებლად.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ წარმატებით გამოიყენოს ხუთივე ფაქტორი და გაკვეთილის პროცესში მოსწავლის მაღალი ჩართულობა უზრუნველყოს?

მიმოვიხილოთ CLEAR მეთოდის ფაქტორები და სწავლა-სწავლების კომპონენტები.

CLEAR მეთოდის ფაქტორები	**სწავლა – სწავლების კომპონენტები**
Can do – მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი, ცოდნა, გამოცდილება,უნარები)	**წინარე ცოდნა** და **საჭირო რესურსები** ეხმარება მოსწავლეს, ჩაერთოს გაკვეთილში

Like to – მონაწილეებს სურთ მონაწილეობა	**მოტივაცია** სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ჩართულობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია
Enebled to – არსებობს მონაწილეობის მექანიზმები	**სწავლების მეთოდები** ის მექანიზმებია, რომლებითაც ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა
Asked to – ხდება მსმენელთა მობილიზება	**მოსწავლეთა ორგანიზება** მოსწავლეთა მობილიზების საშუალებაა
Responded to – არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს)	**მოსწავლეთა შეფასება** ის უკუკავშირია, რომელიც შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის სტიმულად იქცეს

მოტივაცია და სწავლების მეთოდები ის კომპონენტებია, რომელთა გააქტიურებასაც დაგვევმე კვლევის ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად.

მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა; მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლისგარე ცხოვრებას შორის.

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი თეორია ცდილობს, ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოტივაციის გამომწვევი ერთი მიზეზის დადგენის შეუძლებლობა ადამიანთა ბუნების მრავალგვარობაშია. კლასში მოსწავლეები სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი

განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს. უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

ცოტაოდენი თეორია

ატრიბუციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან… როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

მოლოდინების თეორიის მიხედვით, წარმატების მიღწევის მოტივაციას, დიდწილად, საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი განსაზღვრავს. სასწავლო პროცესში ის მოსწავლეები, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, ძირითადად, აღწევენ კიდეც წარმატებას, იმ მოსწავლეებთან შედარებით, ვის მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.

სოციალური დასწავლის თეორია და მიზნის მიღწევის თეორია – აქ აქცენტი კეთდება ადამიანის ბუნებაზე, ისწავლოს დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, ასევე

თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

თვით-ეფექტურობის თეორიისთვის ცენტრალური თემაა ინდივიდის რწმენა საკუთარი ეფექტურობისა, შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობის აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაჩენა შესაძლებელია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა.

ამ თეორიებს აერთიანებს მასწავლებლის როლის მნიშვნელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხში. ატრიბუციის თეორია ხაზს უსვამს მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას. მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს მასწავლებლის და თანატოლების მოლოდინის მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უჩნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს მასწავლებელი (ოჯახთან ერთად).

ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ მასწავლებლის და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად მოსწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს მასწავლებლის და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობას საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ; მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხრიდან პატივისცემას, უფრო ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაში და სხვ.

თეორიების აპლიკაციის მცდელობა

მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს – ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. ამ მიმართულებით სპეციალური ლიტერატურა განიხილავს ფაქტორთა ერთობლიობას, რაც კომპლექსურად ახდენს გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოთ ნახსენები თეორიების მტკიცებულებები რამდენიმე მსხვილ ფაქტორად შეიძლება დაჯგუფდეს, სადაც თავად მოსწავლეს, მასწავლებელს, შინაარსსა და გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მოტივაციის ამაღლების საკითხში. შევეხოთ მოკლედ თითოეულ მათგანს და განვსაზღვროთ იმ სტრატეგიების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა მოტივაცია აუმაღლოს მოსწავლეებს.

1.მოსწავლის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს.

მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, როგორ სკოლაში დადიან, ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი საგაკვეთილო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, ანეგდოტები, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად სჭირდება მოსწავლის შეფასება, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა არ გამოიწვიოს სტრესი და მოტივაციის კლება. სასურველია, შეფასება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ტესტირებას და ის ატარებდეს განმავითარებელ ხასიათს. თუ მოსწავლეებს ნათლად მიეწოდებათ შეფასების

მიზანი, ეცოდინებათ ის კრიტერიუმები, რომლების მიხედვითაც ფასდებიან, ისინი ნაკლებად სტრესულად აღიქვამენ ამ პროცესს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ტესტირების დღე არ არის გადამწყვეტი მის ცხოვრებაში და შესაბამისად, მხოლოდ ამ დღეზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული.

მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე მასწავლებელი. მოსწავლე საგაკვეთილო თემის მნიშვნელობას იზიარებს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით უდგება მის განხილვას.

მასწავლებელი-დიპლომატი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მასწავლებელი-საგნის მცოდნე. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ააწყოს და დააბალანსოს ურთიერთობები მოსწავლეებთან. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას, ნდობას და დაფასებას, თავდაჯერებულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მაღალი მოტივაციის ალბათობა უფრო მეტია. ხშირი უკუკავშირი, მოსწავლეებისადმი თანაბარი მიდგომა, აქცენტი მიღწევებზე, განმავითარებელი შეფასებები – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც შეიძლება მასწავლებელმა მიმართოს.

3.შინაარსის ფაქტორი

ეჭვგარეშეა, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმართ მოსწავლის მოტივაციას აღძრავს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თემა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოახდინოს სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების თანხვედრა. მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით

წარმოადგინოს დავალება და სხვ. მოსწავლის მოტივაციაზე შესაძლოა დადებითად იმოქმედოს შინაარსთან მიმართებაში არჩევანის არსებობამ.

შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიები იწვევს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, კითხვების დასმას, კვლევას, ცხოვრებისეულ მოვლენებთან თეორიის დაკავშირებას. პრობლემები, რომლების გადაჭრაც მოსწავლეს მოეთხოვება, შესაძლოა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში ის მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება კვლევას. მოსწავლეს ყოველთვის სურს, იპოვოს, ამოხსნას, შესაბამისად, მოტივაცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს, მაღალია.

4.სასწავლო გარემოს ფაქტორი

მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, სასწავლო პროცესისათვის ინფრასტრუქტურული მზაობა გვახსენდება, ამაზე აქ არ შევჩერდებით. აქცენტს უფრო საგაკვეთილო პროცესის გარემოზე გავაკეთებთ, რაშიც მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა წახალისება, მაგალითად, სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართვის გზით. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ის გარკვეულ პოზიციას დაიკავებს კლასისა თუ სკოლის მართვაში. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არა სტრესული გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია მრავლად იყოს გამოყენებული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ვინაიდან ითვლება, რომ ისტორიების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლება შეუძლია. მოსწავლე მოტივირებულია, თუ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს, რა არის მისი მიზანი და შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. შესაბამისად, მოსწავლე მოტივირებულია, მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისათვის შექება.

და ბოლოს, მხარდაჭერისკენ მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას

უზრუნველყოფს. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისგან და მისთვის ტესტირების ან გამოცდის დღე არ არის წარმატების/წარუმატებლობის განმსაზღვრელი. (ინტერნეტ გაზეთი mastsavlebeli.ge. - მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, ირინა აბულაძე. 2014წ. 24 ივნისი).

ჩართულობა.

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ მონაწილეობას.

საგანმანათლებლო რესურსები.

სასწავლო პროცესში, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ბ) დამხმარე ლიტერატურა;
გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
ე) ბიბლიოთკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები.

როგორც ცნობილია, მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მის კონტროლს. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და

მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას. მასწავლებელი უნდა ეცადოს, მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა ფორმით.

სწავლების მეთოდები ის მექანიზმებია, რომლებითაც ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. გაკვეთილის მხოლოდ ერთი მეთოდით ჩატარება შეუძლებელია. სწავლების პროცესში მასწავლებელს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უხდება, ხშირად – მათი შერწყმაც. მაგ., ლექციური ტიპის გაკვეთილის დროსაც კი მასწავლებელი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.

1. დისკუსია/დებატები ინტერაქციული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლოა კამათში გადაიზარდოს. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს მოსწავლეს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა. ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებას. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველას მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) სასწავლო მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

4. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია, არა მხოლოდ თავად შეისწავლოს საგანი, არამედ თანაგუნდელსაც დაეხმაროს მის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყოველი მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

5. ევრისტიკული მეთოდი ეფუძნება მოსწავლეთა წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტის პრინციპს. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით სრულდება.

6. შემთხვევის ანალიზი (Case study). მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლის საკითხს. მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.

7. გონებრივი იერიში (Brain storming). ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია, რადიკალურად განსხვავებული იდეის ჩამოყალიბებასა და მათი გამოთქმის ხელშეწყობას. მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

8. როლური და სიტუაციური თამაშები. სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს და საკმაოდ ეფექტურია. ხშირად უმჯობესია, მასალა ერთსა ად იმავე დროს აუდიო- და ვიზუალური გზით მივაწოდოთ მოსწავლეებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეიძლება განახორციელონ როგორც მასწავლებელმა, ისე

მოსწავლემ. ამ მეთოდით თვალსაჩინოებას ვმატებთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, ვაკონკრეტებთ, რის გაკეთება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან საზოგადოსკენ, ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისკენ არის მიმართული.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ეს აადვილებს რთული პრობლების წიაღში არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი შებრუნებული პროცედურაა, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. ახსნაგანმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

13. ელექტრონული სწავლება (E – learning). ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებულს, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- ჰიბრიდულს (დასწრებული/დისტანციური) – სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. არაბული სიბრძნის თანახმად, "ერთად სიარული დასაწყისია, ერთად ყოფნა – პროგრესი, ერთად მუშაობა – წარმატება!". (ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge. **გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მანანა ბოჭორიშვილი. 2014 წლის 29 აგვისტო).**

თავის ნაშრომში, წიგნიდან- „ეფექტიანი სწავლება" , მარიამ გაბაშვილი, ფსიქოლოგებისა და განათლების სპეციალისტების ნაშრომებზე დაყრდნობით წამოგვიდგენს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების შემდეგ სტრატეგიებს:

- გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი;
- გააქტიურეთ მოსწავლეები;
- ჩართეთ მოსწავლეები ცოდნის შფასების ინსტრუმენტების მომზადებაში;
- გამოიყენეთ განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები;
- თავი აარიდეთ ნიშნების დაწერას, გამოიყენეთ „უნიშნო" აქტივობები;
- გახსოვდეთ, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა;
- მიაწოდეთ მოსწავლეეებს დადებითი უკუკავშირი;

- არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ;
- იყავით მიუკერძოებელი;
- ტესტირებისას გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის კითხვები;
- სათანდო დრო და ყურადღება დაუთმეთ მოსწავლეების ნაშრომებს;
- ჩართეთ მოსწავლეები გადაწყვეტილებების მიღებაში;
- აწარმოეთ წინადადებების ყუთი;
- ინდივიდუალური მიდგომა იპოვეთ თითოეულ მოსწავლესთან.
- აკადემიური მიღწევების ამაღლების, აგრეთვე, სწავლისა და ცოდნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს მოსწავლეთა მოტივაციის გაღვიძებაზე.
- მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელის მიმართავს ქცევას, ყურადღებას, ადამიანისთვის სასურველი მიმართულებით. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი. იგი ხასიათდება დინამიურობით და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ისე გარემო ფაქტორებზე. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი და გარემო, რომ მაქსიმალურად ხდებოდეს ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება.
- სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება-მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ელენეტებია. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ეფექტურად გამოიყენოს ეს ელემენტები მოტივაციის ზრდისათვის.
- მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვიძებასა და განვითარებაზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებაზე. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლეთა წარმატების ხელშეწყობა როგორც სასკოლო გარემოში, ისე ზრდასრულობაში.
- მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა არ უნდა იფარგლებოდეს კონკრეტული საკლასო ოთახით. მამოტივირებელი გარემო უნდა იქმნებოდეს მთელი სკოლის მასშტაბით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული შესაბამისი სტრატეგიები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს.

ამავე ლიტერატურულ წყაროში საინტერსოდაა წარმოდგენილი ეფექტიანი სწავლების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სწავლების თეორიები, სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, სასწავლო პროცესი, უნარების განვითარება, შეფასების მეთოდები და სასწავლო გარემო.

თავი III

3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება

კვლევის მთავარი კითხვა იყო, თუ რა იწვევდა საბაზო საფეხურზე, კერძოდ მე-9 კლასში, გერმანული ენის გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დაქვეითებას. ინტერვენციები და რეკომენდაციები ეფუძნება ისეთ კვლევებს, რომლებიც შეისწავლიან უცხო ენის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს საბაზო-საშუალო საფეხურზე.

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე გამოვყავი შემდეგი საკვლევი საკითხები:

- არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები და სავარჯიშოები მათთვის მისაღები შინაარსობრივი და იდეური თვალსაზრისით?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?
- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ჩართულობაზე?
- რამდენად იგებენ მოსწავლეები გრამატიკულ კონსტრუქციებს და ლექსიკას?
- რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს რთული მათთვის?
- ხომ რომ მდგომარეობს პრობლემის მიზეზები მათ ან მასწავლებლის პიროვნულ თვისებებსა და,ზოგადად, სწავლა/ სწავლებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონაში?
- რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში?

- რა თემებია მათთვის საინტერესო, რომელთა შესწავლაც გაზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში?

3.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. გავესაუბრე მე-9 კლასის ყველა საგნის მასწავლებელს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით და გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი:

1. ზოგადად კლასში მოსწავლეთა უმეტესობის უმოტივაციობას უჩივის ყველა საგნის მასწავლებელი. ისინიც ისევე აფასებენ თითოეულ მოსწავლეს, როგორც მე. თუმცა რაც შეეხება პირველ უცხო ენას მოსწავლეები მის მიმართ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, ვიდრე გერმანული ენის მიმართ, რაც იქედანაც ჩანს, რომ ამჯობინებენ ნებისმიერი ტიპის გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში არჩევანი ინგლისურ ენაზე გააკეთონ.
2. მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებელის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოსწავლეთა გარდატეხის ასაკი, როცა მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ და ნაკლებად აინტერესებთ სწავლა.
3. ასევე საყურადღეობა ისიც, რომ წლებთან ერთად როცა მასალა რთულდება იზრდება სასწავლო მასალის მოცულობა, რთულდება სასწავლო პროცესი, შემოდის ახალი გრამატიკული დროები, ტერმინები, ლექსიკა, მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს უჭირთ ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპეტენციების დაძლევა;
4. მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია გერმანულენოვანი ვაკუუმის არსებობა. მოსწაველეებს არ აქვთ საშუალება ხშირად უყურონ გერმანულენოვან ფილმებსა თუ სასწავლო მასალებს. ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ სოფლად მცხოვრები მოსწავლეები უმეტესად მხოლოდ მობილურ ინტერნეტს იყებენენ, რაც საკმაოდ ძვირია. ძვირად შეძენილი ინტერნეტ მეგაბაიტები კი ძნელად ემეტებათ გერმანულენოვანი მასალის საყურებლად.

აღნიშნული კვლევის მიზანია გერმანული ენის გაკვეთილზე იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, შექმნის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული საგაკვეთილო პროცესს და დაეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეებს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

თავი IV

მეთოდოლოგია

კვლევის საწარმოებლად წინასწარ შევიმუშავე კვლევის გეგმა,რომელიც რამოდენიმე ეტაპად განხორციელდა. კვლევისას გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდი.

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

მე–9 კლასის მოსწავლეები, 5 მოწავლე.

მე-9 კლასის ყველა საგნის მასწავლებელი.

4.2. კვლევის მეთოდის შერჩევა

კვლევაში გამოყენებული იქნება შერჩევის ორი ტიპი:

სრული შერჩევა - საკვლევი საკითხის შესასწავლად დავგეგმე გამოკითხვის ჩატარება მე–9 კლასის მოსწავლეებთან კითხვარების საშუალებით, გამოკითხვა ჩატარდა კლასის ყველა მოსწავლესთან.

მიზნობრივი შერჩევა- ფოკუსჯგუფის ფარგლებში შევხვდი მე-9 კლასის ყველა საგნის მასწავლებლს.

ასევე ჩართული დაკვირვება –განვახორციელე დაკვირვება სამივე ეტაპის საშუალებით და მონაცემები გადამქონდა დღიურში

- **აღწერითი დაკვირვება–** ვაკვირდებოდი მთლიანად სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.
- **ფოკუსირებული დაკვირვება–** ვაკვირდებოდი კონკრეტულ ელემენტებს, მაგ. კონტრეტული სასწავლო მეთოდებისა და აქტივობების გამოყენების შედეგს.

- **შერჩევითი დაკვირვება**–ვაკვირდებოდი თითოეული მოსწავლის ჩართულობის ხარისხის მატებას ან კლებას, მზაობას სიახლეების მიღებისადმი, პიროვნულ და თანამშრომლობით უნარებს, რამდენად აქვთ ერთმანეთის მოსმენის უნარი, საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, მოცემული დავალების სწორად აღქმის უნარი და სხვა.
- **გამოკითხვა კითხვარის საშუალებით**. მოვამზადე კითხვარები მე-9 კლასების მოსწავლეებისათვის, რომლის ანალიზიც წარმოდგენას მომცემს მოწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე;

4.4 მონაცემების შეგროვება

მიზნობრივი შერჩევა

- ჩავატარე მასწავლებლებთან ფოკუს–ჯგუფი. ჩემი მიზანი იყო დამედგინა, როგორ აფასებდნენ ისინი მე-9 კლასის მოსწავლეთა, შესაძლებლობებს, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხს. ვისაუბრეთ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებელ მხარეებზე და პრობლემის დაძლევის გზებზე.

სრული შერჩევა– გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ხუთივე მოსწავლემ.

მონაცემების ანალიზი- კვლევის ბოლო ეტაპზე ჩავატარე ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან. განვიხილეთ კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები და გავაანალიზეთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

4.2 ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

ინტერვენციის ეტაპზე თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებზე დაყრდნობით მოვიძიე ის მეთოდები, რომლებიც დამეხმარება მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობის გაზრდაში. სწავლების თანამშრომლობით სტრატეგიები მოიცავს მეტ ჯგუფურ, წყვილებში მუშაობას, დიფერენცირებულ ჯგუფებში სწავლებას, ასევე მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებსა და აქტივობებს, ისტ-ის გამოყენებას და სიმულაციურ თამაშებს. რაც მთავარია,

თითოეული ეს აქტივობა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- მოსწავლეებთან ერთად შეირჩა საგაკვეთილო თემატიკა;
- შეირჩა და გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტიპის ინტერაქტიული სასწავლო მეთოდები;
- დაიგეგმა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე გათვლილი გაკვეთილები.
- იქმნებოდა თანაბარი სიძლიერის ჯგუფები, რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს;
- ხდებოდა შედეგების ერთობლივი გაანალიზება და თვითშეფასება ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასება;
- ჩატარდა ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით;

4.3 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

მოსწავლეთა პირველადი გამოკითხვის შედეგები და მივიღთ ასეთი სურათი. განვიხილავთ კითხვარის მნიშვნელობან შეკითხვებს და მათზე მოსწავლეთა მიერ მოწოდებულ უკუკავშირს.

1. კითხვაზე- არის თუ არა თქვენსა და გერმანულის მასწაველებელს შორის პოზიტიური ურთიერთობა?- მოსწავლეთა პასუხები ასე გადანაწილდა



2. აღმოჩნდა, რომ გერმანულის გაკვთილებზე მასწავლებელი უფრო აქტიურია.



3. სახემლძღვანელოს მოსწავლეები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ.



4. სახელმძღვანელოს გარდა, გაწვდით თუ რა მასწავლებელი დამატებით მასალებს/ რესურსებს?



5. **მიწოდებული დამატებითი რესურსები მოსწავლეებმა ასე შეაფასეს:**



6. აუდიო- ვიდეო რესურსების გამოყენების სიხშირე მათვის მისაღები აღმოჩნდა



7. საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა ასე შეაფასეს



8. გერმანული ენით დაინტერესების საკითხზე მოსწავლეებს შემდეგი აზრი აქვთ.



9. **საგაკვეთილო პროცესის გააქტიურებისათვის საჭირო ცვლილებებზე მოსწავლეებმა შესაცველად მიიჩნიეს სახელმძღვანელო**



ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო მთელი კლასისთვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარჩინებული, ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები, ინტერესით მუშაობდნენ. მუშაობის დროს ავლენდნენ კოლაბორაციის უნარებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, და რაც მთავარია, ამას ხალისით აკეთებდნენ.

საგაკვეთილო პროცესის გააქტიურებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, ადრინდელთან შედარებით უფრო ხშირად ვიყენებდით ინტერაქტიულ მეთოდებს. ყველასათვის ცნობილია, რომ თამაშითა და კეთებით სწავლების პროცესში მოსწავლეები ყოველთვის აქტიურად ერთვებიან. ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უხვად გამოყენებას ჰქონდა დადებითი გამოხმაურება. მოსწავლეებს მოეწონათ გერმანულენოვანი მუსიკებისა და ფილმების საწავლო მიზნით გამოყენება, ასევე ონლაინსავარჯიშოების შესრულება. თავიანთ ტელეფონებში ხალისით გადმოწერეს სასწავლო თამაშები და აპები და დაიწყეს მათი გამოყენება. ვცადეთ სასწავლო პროცესის გახალისება ცეკვის ვიდეო გაკვეთილებითაც. თუმცა, როგორც მოსალდნელი იყო, ბიჭებმა ამ ტიპის აქტივობაში ჩართვის დიდი სურვილი არ გამოხატეს. საგანთაშორის ინტეგრაციის პროცესიც მოეწონათ. ვცადეთ საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრაციის კუთხითაც გვემუშავა. თუმცა მოსწავლეთათვის იმ მარტივი ცდების შედეგი,

რომელთა ჩატარების საშუალებასაც ჩვენი ენობრივი კომპეტენცია და სასწავლო გარემო გვაძლევდა უკვე კარგად ნაცნობი აღმოჩნდა. შესაბამისად, ისეთი შედეგი არ მომცა, როგორსაც მოველოდი.

პირად საუბრში მოსწავლეებმა დააფიქსირეს საკუთარი შეხედულებები. კითხვაზე - რა ტიპის ლექსიკის შესწავლა გსურთ - მოსწავლეებმა დაწერეს, რომ სურთ, მეტი სასაუბრო მზა ფრაზების და სხვადასხვა თემის ირგვლივ სიტყვების შესწავლა დამატებით სახელმძღვანელოსთან ერთად. კითხვაზე როგორი ტიპის ტექსტები სურთ შეისწავლონ მოსწავლეებმა დაწერეს რომ სურთ სპორტზე, სპორტსმენებზე და თავგადასავლებზე, ცნობილ ადამიანებზე დამატებითი ინფორმაციის გაგება. კითხვაზე რატომ სურს გერმანული ენის შესწავლა მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ სამომავლოდ გამოადგებათ, უცხო ენა სამსახურის დაწყებაში, საზღვარგარეთ სტუდენტური პროგრამით წასვლასა და უცხოელებთან კომუნიკაციაში. იყო მოსწავლეც, რომლებმაც გერმანული სწავლა ეზარება თვლის, რომ ის ყველაზე რთული ენაა დედამიწაზე. ზოგი მიიჩნევს, რომ არ სჭირდება ან თავიდან დაწყება სჭირდება, რადგან ვერ ეწევა სასწავლო პროცესს, თვლის რომ ჩამორჩენილია. კითხვაზე- როგორი გაკვეთილი იქნებოდა მათთვის საინტერესო - მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის საინტერესო იქნებოდა სიტუაციური, საკომუნიკაციო ლექსიკის შემცველი აქტვობების გაკეთება, უცხოელი მასწავლებელი გაკვეთილზე, სხვა დამატებითი სახელმძღვანელო, სკოლის სახელმძღვანელოს გარდა, მასწავლებლის მიერ ერთი და იმავე საკითხის რამდენჯერმე ახსნა, მეტი პრაქტიკული და მრავალფეროვნი აქტივობები.

აღნიშნული აქტივობები, მართლაც, შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს, თუმცა მათი ხშირი გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან წინასწარ სჭირდება სასწავლო რესურსის მომზადება, რაც დამატებით დროს და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ინეტრაქტიული მეთოდებით სწავლებისას სწავლის პროცესი ხდება სახალისო და შემოქმედებითი მოსწავლეთათვის.

აქვე აღვნიშნავ, რომ, მთლიანობაში მიღწეული დადებითი შედეგის მიუხედავად, კლასში მაინც დამრჩა ერთი მოსწავლე, რომელიც ცდილობს, თავი აარიდოს ყველა ტიპის აქტივობას.

თავი V

5.1 მიგნებები, რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სასურველია შეიცვალოს სახელმძღვანელოები, სადაც მოძველებული ტექსტებია წარმოდგენილი, რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს, თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ლექსიკა უნდა იყოს თანამედროვე, რათა აქტიურად შეძლონ მოსწავლეებმა მისი პრაქტიკაში გამოყენება, სავარჯიშოები უნდა იყოს უფრო მეტად ისე ორგანიზებული, რომ მოსწავლებმა შეძლონ ნასწავლი მასალის განმტკიცება. სახელმძღვანელოში უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ნასწავლის ტრანსფერის უნარი, შეძლონ საჭიროებისამებრ გამოიყენონ საუბარში ნასწავლი. სასურველია მეტი ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება, რაც საკმაოდ რთული განსახორციელებელია იმ პირობებში, როგორშიც ჩვენ გვიწევს მუშაობა.

სწორედ მოწავლეთა ინტერესების გათვალიწინებით ექვსი თვის განმავლობაში , წინანდელზე უფრო ხშირად ვიყენებდი გერმანულენოვან მუსიკებს ახალი თემის შესწავლის ან უკვე ნაცნობის გამეორების მიზნით (მაგ. Ramstein. Nena, die toten Hosen, Wies Gaus და სხვა). ვნახეთ და განვიხილეთ რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი დიდქტიკური ფილმი და მოვახდინეთ მისი ინტეგრირება სხვა საგნებთან (მაგ. ფილმი Schwarzfahrer - სამოქალაქო განათლებასთან)

სახვადასხვა გრამატიკული დროის მარტივად დასასწავლად ვიყენებით თამაშის ხერხებს. მაგ. დატივ- აკუზატივის წინდებულებისა დამუშავებისას ვითამაშეთ „ბრილიანტის მაძიებელი“.

წერის უნარების განვითარებისათვის ვიყენებდით ე.წ. თავისუფალი წერის მეთოდს. მოსწავლები წერდნენ თხზულებებს მათ მიერ წინასწარ შერჩეული სიტყვების გამოყენებით.

მთავარი რაც ამ კვლევის საწყის ეტაპზევე დავინახე, ვიგრძენი და გამახარა, ის იყო, რომ მოსწავლეებს არ სძულთ გერმანული ენა, როგორც საგანი. უბრალოდ ვერაფერს უხერხებენ მოძალებულ სიზარმაცეს.

5.2 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასში მხოლოდ ერთი კლასის მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი. უმჯობესი იქნებოდა საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე ჩამერთო პროცესში და მომეხდინა მიღებული შედეგების ანალიზი.

დასკვნა

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გაზრდისაკენ და ითვალისწინებდა დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგები აჩვენა. განხორციელებული ქმედებებით მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობის ხარისხი ამაღლდა. გამუმჯობესდა მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელიც.

შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში.

გამოიკვეთა სასწავლო მეთოდები, რომლებიც მცირერიცხოვან კლასთან მუშობისას დადებით შედეგს იძლევა ამა თუ იმ თემის დამუშავებისას და ემსახურება სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, იქნება ეს წერა, კითხვა, მოსმენა თუ საუბარი.

კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან დაეხმარება ჩემს კოლეგებს თვითონ წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, ასევე შეიმუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები.

ბიბლიოგრაფია

1. ინასარიძე მ, ლობჟანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,2016 http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf

2. ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი. . 2010წ. https://naec.ge/uploads/postData/PED-2017/efeqtiani_swavleba.pdf

3 . მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. 2016წ. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf

4. **მანანა ბოჭორიშვილი.** ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge. **გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, 2014 წლის 29 აგვისტო.**http://mastsavlebeli.ge/?p=1915

5. ირინა აბულაძე. ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge. - მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, 2014წ. 24 ივნისი. http://mastsavlebeli.ge/?p=1982

6. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

7. სოფიო ლობჟანიძე, **„წავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები“, 16 მაისი, 2012წ.** http://mastsavlebeli.ge/?p=2536

8. სოფიო ლობჟანიძე. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი. http://mastsavlebeli.ge/?p=281

9. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსი http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201

ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი

კითხვარი მოსწავლეთათვის

დანართი 1

მოგესალმებით ძვირფასო მოსწავლეებო,

თქვენ შესაძლებლობა გაქვთ ჩაერთოთ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის პედაგოიური კვლევაში: მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების ძიება გერმანული ენის გაკვეთილებზე.

გერმანული ენის გაკვეთილების გახალისებისა და გააქტიურებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი შეფასებები და მოსაზრებები. იმედს გამოვთქვამთ, გამონახავთ რამდენიმე წუთს ქვემოთ მოცემული კითხვარის შესავსებად და იქნებით სრულიად გულწრფელები. ეს ფაქტორი ძალაინ მნიშვნელოვანია უკეთესი შედეგის მისაღებად.

გასხოვდეთ, კითხვარი ანონიმურია და სახელისა და გვარის დაფიქსირება არსად მოგეთხოვებათ.

1. არის თუ არა თქვენსა და გერმანული მასწავლებელს შორის პოზიური ურთიერთობა?

ა. დიახ; ბ. არა გ. ნაწილობრივ დ. თავს შევიკავებ.

2. როგორ ფიქრობთ, როგორია მასწავლებლის ხმის ტემბრი გაკვეთილის ახსნის პროცესში?

ა. მისაღები ბ. ზედმეტად ხმამაღალი გ. მონოტონური და დამღლელი დ. ზედმეტად ხმადაბალი.

3. გერმანულის გაკვეთილებზე ვინ უფრო აქტიურია

ა. უფრო მოსწავლეები ვიდრე მასწავლებელი

ბ. უფრო მასწავლებელი ვიდრე მოსწავლეები

გ. ორივე თანაბრად აქტიურია

დ. არცერთი არ აქტიურობს

4. გსმენით თუ არა გერმანული ენის მასწავლებლის მიერ მოწყობილი არასაგაკვეთილო აქტივობების შესახებ

ა. მსმენია და მონაწილეობაც მიმიღია,

ბ. მსმენია მომაწილეობა მიმიღია, მაგრამ არ მომეწონა

გ. მსმენია თუმცა მონაწილეობა არ მიმიღია,

დ. მსმენია და მაქვს მონაწილოების სურვილი

ე. არც მსმენია და არც მიანტერესებს.

5. მოგწონთ თუ არა სახელმძღვანელო, რომელიც სკოლაში დაგირიგდათ?

ა. დიახ ბ. არა. გ. ნაწილობრივ

6. სახელმძღვანელოს გარდა გაწვდით თუ რა მასწავლებელი დამატებით მასალებს/ რესურსებს?

ა. ყოველთვის ბ. ხშირად გ. იშვითად დ. არასდროს.

7. იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი დამატებით რესურსებს გაწვდით როგორ შეაფასასებთ მათ?

ა. სახელმძღვანელოსგან არაფრით განსხვავდება;

ბ. ხშირად საინტერესო მასალებია;

გ. სახელმძღვანელოზე უინტერესოა მასალებია;

დ. ჩემთვის რთულია და ვერ ვიგებ მათ;

ე. ჩემთვის სულერთია, არცერთს არ ვაკეთებ;

8. იყენებს თუ არა მასწავლებელი გაკვეთილზე აუდიო- ვიდეო რესურსებს.

ა. ყოველთვის ბ. ხშირად გ. იშვითად დ. არასდროს.

9. საინტერესოა თუ არა როცა მასწავლებელი ისტ-ით გამდიდრებულ გაკვეთილს ატარებს.

ა. ყოველთვის საინტერესოა. ბ. თემას გააჩნია გ. ჩემთვის სულ ერთია.

10. თქვენი აზრით გერმანულის გაკვეთილებზე რას სწავლებას ექცევა უფრო დიდი ყურადღება გრამატიკის თუ ლექსიკის,

ა. გრამატიკის ბ. ლექსიკის გ. ორივეს თანაბრად დ. ერთმანეთისგან გარჩევა მიჭირს.

11. რამდენად ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში

ა. ყოველთვის აქტიურად ვარ ჩართული

ბ. ვცდილობ ვიაქტიურო.

გ. მაქვს მონაწილეობის სურვილი თუმცა არ მეძლევა ამის საშუალება.

დ. გაკვეთილი უინტერესოა და არ მაქვს მონაწილების სურვილი

12. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორი განსაზღვრავს თქვენი გერმანული ენით დაინტერესებას ან პირიქით ნაკლებ ინტერესს?

ა. სასკოლო გარემო

ბ. მასწავლებლის ფაქტორი

გ. მშობლების ფაქტორი

დ. მე ყველა საგანს ერთნაირად ვსწავლობ

გ. ვთვლი რომ გერმანული შემდგომ ცხოვრებაში არაფერში დამჭირდება

ე. ვთვლი რომ გერმანული შემდგომ ცხოვრებაში გამომადგება

13. გეძლევათ თუ არა საშინაო დავალებები?

ა. ყოველთვის ბ. თითქმის ყოველთვის გ. იშვიათად. დ. არასდროს

14. ასრულებთ თუ არა საშინაო დავალებებს?

ა. ყოველთვის ბ. ხშირად გ. იშვიათად დ. არასდროს

15. იმ შემთხვევაში თუ მე-13 კითხვაზე თქვენი პასუხი იყო „არასდროს“, როგორ ფიქრობთ რატომ არ ასრულებთ საშინაო დავალებებს?

ა. მეზარება

ბ. მაინც არასწორი მექნება

გ. ვერ ვიგებ მასალას და ამიტომ ვერ ვწერ

16. ემზადებით თუ არა შემაჯამებელი სამუშაოსთვის?

ა. ყოველთვის ბ. ხანდახან გ. არასდროს

17. გაკმაყოფილებთ თუ არა შემაჯამებელ სამუშაოებში მიღებული შეფასება?

ა. ყოველთვის ბ. არასდროს გ. დიახ დ. არა

18. როგორ ფიქრობთ, ენობრივი კომპეტენციებიდან რომელს როგორი ყურადღება ექცევა საგაკვეთილო პროცესში. გთხოვთ დანომროთ ქვემოთ მოცემული კომპეტენციები

- წერა
- კითხვა
- საუბარი მოსმენა
- ქვეყანათმცოდნეობა/ კულტურათა დიალოგი
-

19. როგორ დაალაგებდით თქვენ ამ კომპეტენციებს თქვენი ნება რომ იყოს? გთხოვთ დანომრეთ.

- წერა
- კითხვა
- საუბარი მოსმენა
- ქვეყანათმცოდნეობა/ კულტურათა დიალოგი

20. როგორ ფიქრობთ, რა უნდა შევცვალო მე როგორც თქვენი გერმანულის მასწავლებელმა ჩვენი საგაკვეთილო პროცესის გააქტიურებისათვის?

ა. სახელმძღვანელო

ბ. მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის ფორმა

გ. საგაკვეთილო თემატიკა

21. უმორჩილესად გთხოვთ, მირჩეით, როგორ გავხადო ჩვენი საგაკვეთილო პროცესი უფრო სიანტერესო, აქტიური და სასარგებლო შედეგების მომტანი.

მადლობას გიხდით თანმამშრომლობისა და გაწეული დახმარებისათვის.